

შპს „ლიბო გრუპ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ

1

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2-4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	5
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. შპს „ლიბო გრუპ“	9
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	24
4. ახალი და გადახდილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდისთვის	25
5. ძირითადი საშუალებები	26
6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	27
7. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	27
8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	27
9. ნასესხები სახსრები	27
10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები	28
11. შემოსავალი რეალიზაციიდან	28
12. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	28
13. რეალიზაციის ხარჯები	28
14. ადმინისტრაციული ხარჯები	29
15. მოგება-ზარალი საკუთროსო სხვაობიდან	29
16. ფინანსური რისკის მართვა	30
17. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	34
18. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	34
19. ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდგომი მოვლენები	35

შპს ლიბო-გრუპი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს ლიბო გრუპის („შემდგომში - კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის („შემდგომში - ჯგუფი“) კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიკური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე ჯგუფის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ჯგუფში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ჯგუფის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ჯგუფის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 1 ოქტომბერს.

მარიამ დუდუჩავა
დირექტორი

2024 წლის 1 ოქტომბერი
საქართველო, თბილისი



დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს ლიბო გრუპის მფლობელსა და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ლიბო გრუპის (კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის სრული კონსოლიდირებული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი მოსაზრებით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა განმარტებულია ჩვენი ანგარიშის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვმოქმედებდით ჯგუფისგან დამოუკიდებლად, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“ (პბეკ კოდექსი) და საქართველოში აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური მოთხოვნები. შესაბამისად, ჩვენ მიერ შესრულებული ეთიკური ვალდებულებები შეესაბამებოდა როგორც პბეკ კოდექსის, აგრეთვე აღნიშნული მოთხოვნებით განსაზღვრულ სტანდარტებს. ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისია პროფესიული დასკვნის გასაკეთებლად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია მენეჯმენტი. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მმართველობის ანგარიშს არ მოიცავს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი მოვალეობაა, გავცნოთ სხვა ინფორმაციას და, იმავდროულად, დავასკვნათ, ხომ არ არის სხვა ინფორმაცია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ან აუდიტის პროცესში მოპოვებული ცოდნის არსებითად შეუსაბამო ან ხომ არ არის ის სხვაგვარად მნიშვნელოვნად არაზუსტი. თუ ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე აღმოჩნდა, რომ ამ სხვა ინფორმაციასთან არსებითი სახის შეუსაბამოა არსებობს, ჩვენ მოვალენი ვართ, ამ ფაქტის შესახებ მოვახსენოთ.

აღნიშნული პასუხისმგებლობის საფუძველზე, მოსახსენებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობისა და კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირთა მოვალეობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, მოამზადოს და ობიექტურად წარმოადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემის არსებობა, რომელიც, მისი აზრით, აუცილებელია

ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია, შეაფასოს ჯგუფის მხრიდან საქმიანობის გაგრძელების (უწყვეტი საწარმოს პრინციპის) უნარი, აგრეთვე, აუცილებლობის შემთხვევაში, განმარტოს უწყვეტი საწარმოს პრინციპთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნული პრინციპი გამოიყენოს ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველად გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელმძღვანელობა ან მოზნად ისახავს ჯგუფის ლიკვიდაციას თუ საქმიანობის შეწყვეტას, ან არ გააჩნია ამისგან განსხვავებული ქმედების რეალისტური ალტერნატივა.

ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან, ზედამხედველობა გაუწიოს ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში

ჩვენი ამოცანაა, მოვიპოვოთ იმის საფუძველიანი რწმუნებულება, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში არ შეიცავს შეცდომით ან/და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს, გაცვეთ ჩვენი თვალსაზრისის გამომხატველი აუდიტორული დასკვნა. საფუძველიანი რწმენა მაღალი ხარისხის რწმენას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, არ არის იმის გარანტია, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებითი ხასიათის უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას როგორც თაღლითობის, აგრეთვე შეცდომის შედეგად და არსებითად ითვლება მაშინ, როდესაც, დამოუკიდებლად თუ ერთობლივად, შეიძლება პოტენციურად ზეგავლენას ახდენდეს ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მის მომხმარებელთა მიერ მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, აუდიტის მთელი პროცესის განმავლობაში გამოვთქვამთ პროფესიულ თვალსაზრისს და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა:

- ჩვენ ამოვიცნობთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების თვალსაზრისით და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და ადეკვატური საფუძველი იქნება ჩვენი დასკვნის. რისკი იმისა რომ ვერ აღმოვაჩინოთ თაღლითობით გამოწვეული უზუსტობა მეტია ვიდრე ალბათობა იმისა, რომ ვერ შევაჩინოთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება ხდებოდეს საიდუმლო გარიგების, გაყალბების, ინფორმაციის წინასწარგანზრახული გამოტოვების, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის ან შიდა კონტროლის მექანიზმის დარღვევის გზით.
- მოცემული ვითარებისათვის შესაფერისი აუდიტის პროცედურების დაგეგმვის მიზნით, ვიქმნით წარმოდგენას არსებული შიდა კონტროლის მექანიზმების თაობაზე, რაც არ გულისხმობს ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის თაობაზე აზრის გამოთქმის განზრახვას.
- ვაფასებთ ბუღალტრული აღრიცხვის გამოყენებული პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული პროგნოზებისა და განმარტებების მართებულობას.
- ვაკეთებთ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპის გამოყენება. იმავდროულად, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე გამოვთქვამთ თვალსაზრისს, არსებობს თუ არა არსებითი ხასიათის არასარწმუნოება ისეთ პირობებთან თუ მოვლენებთან მიმართებაში, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა. თუ ჩვენი დასკვნის მიხედვით, არსებითი გაურკვევლობა არსებობს, ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მიერ შემუშავებულ აუდიტორის ანგარიშში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ განმარტებებზე, ხოლო თუ ამგვარი განმარტებები არასაკმარისია,

შეცვალათ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ჯგუფი აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს განმარტებების ჩათვლით და იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოადგენს ანგარიშგება ძირითად მოვლენებსა და ტრანზაქციებს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების თაობაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

პროცედურები შევასრულეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ჯგუფის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს „ალგი აუდიტის“ სახელით

კახაბერ თეთრუაშვილი

2024 წლის 1 ოქტომბერი

თბილისი, საქართველო

შპს „ლიბო გრუპ“
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
(რიცხვები ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	4,345,471	3,960,965
საინვესტიციო ქონება		404,045	404,045
გუდვილი		–	–
მიწა	5	5,686,093	5,673,109
არამატერიალური აქტივები		88,059	99,741
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,523,668	10,137,860
მიმდინარე აქტივები			
საგადასახადო აქტივი		–	–
გადახდილი ავანსები		–	429,957
მარაგები	6	7,115,908	4,505,266
გაცემული სესხები		60,000	–
სავაჭრო მოთხოვნები	7	13,408,345	10,572,390
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		–	12,807
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	118,067	343,869
სულ მიმდინარე აქტივები		20,702,320	15,864,289
სულ აქტივები		31,225,988	26,002,149
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		554,957	554,957
გაუნაწილებელი მოგება		21,205,509	18,709,609
სულ კაპიტალი		21,760,466	19,264,566
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	–	–
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		–	–
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხის მიმდინარე ნაწილი	9	3,507,514	2,374,044
სავაჭრო ვალდებულებები	10	5,104,655	3,989,059
გადასახდელი ხელფასები		–	–
მიღებული ავანსები		–	–
საგადასახადო ვალდებულება		692,631	85,069
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		160,722	289,411
სულ მიმდინარე ვალდებულებები		9,465,522	6,737,583
სულ ვალდებულებები		9,465,522	6,737,583
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		31,225,988	26,002,149

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2024 წლის 1 ოქტომბერს

მარიამ დუდუჩავა
დირექტორი

9-35 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ლიბო გრუპ“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

(რიცხვები ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი რელიზაციიდან	11	57,576,050	45,153,057
გაყიდული მარაგების თვითღირებულება	12	(37,053,088)	(30,025,714)
საერთო მოგება		20,522,962	15,127,343
რელიზაციის ხარჯები	13	(8,313,228)	(6,746,449)
ადმინისტრაციის ხარჯები	14	(5,321,422)	(4,372,836)
საოპერაციო ხარჯები		(109,544)	(197,811)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		6,778,768	3,810,247
არასაოპერაციო შემოსავალი		401,610	395,940
საპროცენტო ხარჯი		(195,594)	(268,657)
მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან	15	(258,083)	1,442,662
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(204,625)	(250)
დივიდენდი		–	–
ძირითადი საშუალების რელიზაცია		–	3,976,059
მოგება დაბეგვრამდე		6,522,076	9,356,001
მოგების გადასახადის ხარჯი		(628,632)	(38,303)
წლის მოგება		5,893,444	9,317,698
სხვა სრული შემოსავალი		–	–
მთლიანი სრული შემოსავალი		5,893,444	9,317,698

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2024 წლის 1 ოქტომბერს

მარიამ დუდუჩავა

დირექტორი

შპს „ლიბო გრუპ“
 კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
 (რიცხვები ლარშია მოცემული)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	589,849	11,314,353	11,904,202
წლის მოგება	–	9,317,698	9,317,698
დივიდენდის გაცემა	–	(1,922,442)	(1,922,442)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	313,661	–	313,661
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(348,553)	–	(348,553)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	554,957	18,709,609	19,264,566
წლის მოგება	–	5,893,444	5,893,444
დივიდენდის გაცემა	–	(3,397,544)	(3,397,544)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	554,957	21,205,509	21,760,466

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2024 წლის 1 ოქტომბერს

მარიამ დუდუჩავა
 დირექტორი

შპს „ლიბო გრუპ“
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
(რიცხვები ლარში მოცემული)

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		6,522,076	9,356,001
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	14	460,967	459,970
უიმედო მოთხოვნის ხარჯი (აღდგენა)		204,576	(59,989)
ძირითადი საშუალების გაყიდვით მიღებული მოგება		—	(3,976,059)
საპროცენტო ხარჯი	9	195,594	268,657
კურსთაშორის სხვაობის ხარჯი		258,083	(1,442,662)
გუდვილის გაუფასურების ხარჯი		—	—
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		7,641,296	4,605,918
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვლილება		(2,986,961)	(3,114,348)
გაცემული ავანსების ცვლილება		429,957	(429,957)
სასაქონლო მატერიალური მარაგების ცვლილება		(2,610,642)	616,635
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ცვლილება		903,126	263,234
ცვლილება საგადასახადო აქტივებში და ვალდებულებებში		(21,070)	(174,358)
მიღებული ავანსების ცვლილება		—	—
გადახდილი პროცენტი		(195,594)	(285,481)
ცვლილებები სხვა მოკლევადიან მოთხოვნებში		12,807	38,597
ცვლილებები გადასახდელ ხელფასებში		—	(81,175)
ცვლილება სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში		(128,689)	240,743
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		3,044,230	1,679,808
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების ყიდვა/ გაყიდვით მიღებული და გადახდილი თანხები		(846,775)	4,848,630
სესხის გაცემა		(60,000)	—
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		(906,775)	4,848,630
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხის მიღება/გადახდა	9	1,069,003	(4,260,949)
განაწილებული დივიდენდი		(3,397,544)	(1,922,442)
საწესდებო კაპიტალის ზრდა / (შემცირება)		—	(34,892)
ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(2,328,541)	(6,218,283)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათი ეკვივალენტებზე		(34,716)	(39,446)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		(225,802)	270,709
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	8	343,869	73,160
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	8	118,067	343,869

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2024 წლის 1 ოქტომბერს

მარიამ დუდუჩავა
 დირექტორი

შპს „ლიბო გრუპ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(რიცხვები ლარშია მოცემული)

1. შპს „ლიბო გრუპ“

შპს „ლიბო გრუპი“ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნდა 2007 წლის 16 ნოემბერს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომპანიის წარმომადგენლობაზე და მართვაზე პასუხისმგებელ პირია მარიამ დუდუჩავა.

კომპანიას საქართველოს მასშტაბით დიდ სადისტრიბუციო ქსელს წარმოადგენს. დისტრიბუცია ძირითადად მოიცავს პირადი ჰიგიენის, ბავშვთა მოვლის და სარეცხი საშუალებების იმპორტს და რეალიზაციას. კომპანიას გააჩნია გარკვეული ბრენდების ექსკლუზიური იმპორტის უფლება საქართველოში.

კომპანიის მფლობელები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კომპანიის მფლობელი	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
მარიამ დუდუჩავა	34%	34%
ოთარ ბადაგაძე	33%	33%
ლაშა ბადაგაძე	33%	33%

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ნამალაძევის რაიონი, დავით გურამიშვილის გამზირი #84, სადაც სათავო ოფისი მდებარეობს.

შპს ლიბო გრუპ ფლობს 100 % შვილობილ კომპანიას, შპს იასონს, (ერთობლივად - „ჯგუფი“). შვილობილი კომპანიის დაარსების თარიღია 1996 წლის 22 თებერვალი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შვილობილი კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების გაქირავება.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

(ა) მომზადების საფუძველი

ჯგუფის და მისი შვილობილი კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (ერთად „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“) მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება თავდაპირველი აღიარებისას. ფინანსურ ანგარიშგებებში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

(ბ) კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ▶ მას აქვს ინვესტიციის ობიექტზე ზეგავლენა (ანუ მიმდინარე უფლებები მას საშუალებას აძლევს, ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა მართოს);
- ▶ ის იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება;
- ▶ შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ბ) კონსოლიდაციის საფუძველი (გაგრძელება)

გავრცელებული მოსაზრებით, ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობა კონტროლის უფლებას იძლევა. ამ მოსაზრების გასამყარებლად, თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში ფლობს ხმის ან სხვა მსგავსი უფლების უმრავლეს ნაწილზე ნაკლებს, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე აქვს თუ არა გავლენა, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ▶ სახელშეკრულებო შეთანხმება (შეთანხმებები) ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე სხვა პირებთან;
- ▶ სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან მიღებული უფლებები;
- ▶ ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები.

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიებზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი კომპანიის წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში შვილობილ კომპანიაზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე.

მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი კომპანიის აქციონერებსა და არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არასაკონტროლო პაკეტის ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

შვილობილი კომპანიის კაპიტალში წილის ცვლილება, კონტროლის დაკარგვის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება. თუ ჯგუფი დაკარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, იგი წყვეტს შესაბამისი აქტივების (გუდვილის ჩათვლით), ვალდებულებების, არასაკონტროლო პაკეტის და კაპიტალის სხვა კომპონენტების აღიარებას, ხოლო შედეგად მიღებულ შემოსულობას ან ზარალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში. ნებისმიერი შენარჩუნებული ინვესტიციის აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს, როგორც კი შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან/და მომსახურების მომხმარებლისთვის გადაცემით გზით. საქონელი/მომსახურება გადაცემულად მიიჩნევა როგორც კი მომხმარებელი მოიპოვებს მოცემულ აქტივზე კონტროლს.

შემოსავალი აღიარდება მომავალში მისაღები თანხების სამართლიანი ღირებულებით რაც ასახავს სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ან/და მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მოსალოდნელ მისაღებ საზღაურს, რომლიდანაც გამორიცხულია, ფასდაკლება, უკან დაბრუნება და დამატებული ღირებულების გადასახადი.

ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება შესასრულებელ ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან როგორც კი) პირი შესასრულებელ ვალდებულებას შესასრულებს.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს შესასრულებელი ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

ჯგუფიმ გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

2. სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ფინანსური ხარჯები

ჯგუფის ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალში და ხარჯებში შედის:

- ▶ საპროცენტო ხარჯი;
- ▶ საკურსო ცვლილებით წარმოშობილი შემოსულობა ან ზარალი სხვა ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე;
- ▶ სხვა ფინანსური ხარჯები.

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საკურსო სხვაობით წარმოშობილი შემოსულობები და ზარალი წმინდა საფუძველზე აღირიცხება იმის მიხედვით, უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა შემოსულობის პოზიციაშია, თუ წმინდა ზარალის.

ნასესხები სახსრები, რომლებიც პირდაპირ არ უკავშირდება განსაკუთრებული აქტივის შეძენას, მშენებლობას და წარმოებას აღიარდება მოგება-ზარალში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

(ე) უცხოური ვალუტა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც ასევე ჯგუფის სამუშაო ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავიდან ჯგუფის მიერ აღირიცხება მის შესაბამის სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული სპოტ გაცვლითი კურსით.

2. სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) უცხოური ვალუტა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ხდება ანგარიშგების დღეს არსებული სამუშაო ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსით.

ფულადი მუხლების დაფარვით ან კონვერტაციით გამოწვეული სხვაობები აისახება მოგება-ზარალში.

არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. არაფულადი მუხლების კონვერტაციის შედეგად მიღებული შემოსულობა თუ ზარალი აღირიცხება მუხლის სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებით განპირობებული შემოსულობის და ზარალის აღიარების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი მუხლები, რომლებიც ისტორიული ღირებულების საფუძველზე ფასდება, კონვერტირდება ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით.

შესაბამისი აქტივების, ხარჯების ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველ აღიარებაზე სპოტ სავალუტო კურსის გამოყენების განსასაზღვრად, ისეთი არაფულადი აქტივების ან არაფულადი აქტივებისა და არაფულადი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისას, რომლებიც წინასწარ გადახდებს უკავშირდება, გარიგების თარიღი არის ის თარიღი, როდესაც ჯგუფი თავდაპირველად აღიარებს საავანსო გადახდიდან წარმოშობილ არაფულად აქტივებს ან არაფულად ვალდებულებებს. თანხის რამდენიმე წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, ჯგუფი თითოეულისთვის ცალკე განსაზღვრავს ოპერაციის თარიღს.

(ვ) გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. განაწილებული მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო კრედიტორული ვალდებულებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის აქციონერებზე დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადის დავალიანება კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) გადასახადები (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

დამატებული ღირებულების გადასახადი („დღგ“)

შემოსავალი, ხარჯები და აქტივები აღირიცხება ბრუნვიდან გადასახადის გამოკლებით, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც შეუძლებელია ბრუნვიდან გადასახადის, რომლის ვალდებულებაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვისას წარმოიშობა, დაბრუნება საგადასახადო ორგანოებიდან, ამ შემთხვევაში ხდება ბრუნვიდან გადასახადის აღიარება აქტივის შესყიდვის ხარჯის ნაწილად ან ხარჯების მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ როდესაც დებიტორული დავალიანებებისა და კრედიტორული ვალდებულებების აღრიცხული ოდენობა შეიცავს ბრუნვიდან გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი ბრუნვიდან გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია როგორც საგადასახადო ვალდებულება, მოგების გადასახადის გარდა ან ავანსად გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, რომლებიც წმინდა სახით აღირიცხება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის წმინდა დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშების დანერგვით. ამიტომ ჯგუფი ყველა საგადასახადო კრედიტორულ და დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებულ აქტივებსა და ვალდებულებებს წარმოადგენს ნეტო საფუძველზე.

(ზ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად

ჯგუფი აქტივებსა და ვალდებულებებს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ზ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად (გაგრძელება)

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ ის დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას ჯგუფი გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

(თ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო სარეალიზაციო ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელსაც აკლდება გაყიდვის სავარაუდო ხარჯები. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენაზე გაწეულ ხარჯებსა და ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მათ მისაყვანად გაწეულ ხარჯებს.

(ი) ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. ჯგუფის მიერ აგებული აქტივების თვითღირებულება მოიცავს მასალისა და შრომის პირდაპირ დანახარჯებს და ყველა სხვა ხარჯს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის შესაბამის მდგომარეობაში მოსაყვანად, დემონტაჟის და მოხსნის ხარჯებს, ასევე იმ ტერიტორიის რეაბილიტაციის ხარჯებს, რომლებზეც ეს აქტივები მდებარეობს და ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ კაპიტალიზებულ დანახარჯებს. შესყიდული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია შესაბამისი აღჭურვილობის ფუნქციონირებისთვის, კაპიტალიზდება, როგორც ამ აღჭურვილობის განუყოფელი ნაწილი. დაუმთავრებელი მშენებლობა აღრიცხულია თვითღირებულებით, აკუმულირებული გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით.

თუ ძირითადი საშუალებების ერთეულებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადა აქვთ, ისინი აღრიცხება ძირითადი საშუალებების ცალკე ერთეულებად (ძირითად კომპონენტებად) და მათზე ცვეთა ცალკე ირიცხება, შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ინსპექცია, მისი ხარჯის აღიარება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ხდება, როგორც ჩანაცვლების ღირებულებისა, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯის აღიარება ხდება მათი დადგომისთანავე კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ი) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს (ე.ი. თარიღში, როდესაც მიმღებზე გადადის კონტროლი) ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალებების განკარგვით მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებით გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის შედარებით და მოგება-ზარალში აღიარდება სხვა შემოსავალში/სხვა ხარჯში.

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების დამონტაჟების და მათი სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. ცვეთა ეფუძნება აქტივის ღირებულებაზე შეფასებული ნარჩენი ღირებულების გამოკლების გზით.

ზოგადად, ცვეთის აღიარება მოგება-ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. იჯარით აღებულ აქტივებს ცვეთა ერიცხებათ საიჯარო პერიოდსა და სასიცოცხლო ვადას შორის უმოკლესი პერიოდით, გარდა შემთხვევებისა როდესაც გონივრულად მოსალოდნელია რომ ჯგუფი იჯარის ვადის ბოლოსთვის აქტივზე მფლობელობას მოიპოვებს.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის იყო შემდეგი:

- | | |
|---|----------|
| ▶ შენობა-ნაგებობები | 20 წელი; |
| ▶ სატრანსპორტო საშუალებები | 5 წელი; |
| ▶ საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი და სხვ. | 5 წელი. |

ცვეთის დარიცხვის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაისინჯება ყოველი საანგარიშგებო თარიღით და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

სესხით სარგებლობის დანახარჯები

ისეთი აქტივის შეძენისთვის, აგებისა თუ წარმოებისთვის უშუალოდ მიკუთვნებადი სესხით სარგებლობის დანახარჯები, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც აქტივის ღირებულების ნაწილი. სესხით სარგებლობის ყველა დანარჩენი დანახარჯი დადგომისთანავე გატარდება პერიოდის ხარჯად. სესხით სარგებლობის დანახარჯები შედგება პროცენტისგან და სხვა ხარჯებისგან, რომლებსაც ჯგუფი გაიღებს სესხის მიღებასთან დაკავშირებით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(კ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(i) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით. ჯგუფი თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათი მართვის ჯგუფისეულ ბიზნეს-მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანებების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფი პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, ჯგუფი ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგება-ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც ჯგუფი პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით („შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება. ჯგუფის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ორგანიზაცია მის საკუთარ ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფი აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ▶ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები);
- ▶ სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- ▶ მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(კ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები)

ეს კატეგორია ჯგუფისთვის ყველაზე აქტუალურია. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

ჯგუფის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებს 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- ▶ მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები - მე-3 შენიშვნა;
- ▶ სავაჭრო დებიტორული დავალიანებები - მე-7 შენიშვნა;

ჯგუფი აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში. ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის ანარიცხს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის.

ჯგუფიმ შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია 180 დღით. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ჯგუფიმ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ სავარაუდოდ ჯგუფი სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, ჯგუფის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგება-ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(კ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა, ან
- ▶ ჯგუფიმ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფიმ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფიმ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ ჯგუფიმ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ ჯგუფიმ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, ჯგუფი აგრძელებს გადმოცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გზით. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადმოცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ჯგუფის მიერ შენარჩუნებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით, რომლის გადახდას შესაძლოა ჯგუფის დასჭირდეს.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები და ნასესხები სახსრები, კრედიტორული ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, ნასესხები სახსრების და კრედიტორული ვალდებულებების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ ვალდებულებებს, ნასესხებ სახსრებს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(კ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც ეს განხილულია ქვემოთ:

სესხები და ნასესხები სახსრები

ეს კატეგორია ჯგუფისთვის ყველაზე აქტუალურია. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოიანგარიშება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ამორტიზაცია აისახება კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსური ხარჯების სახით. ეს კატეგორია ზოგადად ეხება ნასესხებ სახსრებს.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები მეტწილად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება შემოსავლის ანგარიშგებაში.

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ლ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის ჯგუფი აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც აქტივის წლიური შემოწმებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, ჯგუფი აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოძინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფებიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, გამოიყენება შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

ჯგუფი გაუფასურებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება ჯგუფის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ოთხწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

უწყვეტი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების, მათ შორის სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამის ხარჯის კატეგორიებში.

ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღმოფხვრილი ან შემცირებულია. თუ ამის ნიშნები მართლაც არსებობს, ჯგუფი აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. ამობრუნების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ასეთი აღდგენის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აქტივი აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც აღდგენა აღირიცხება, როგორც გადაფასებული ღირებულების ზრდა.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(მ) სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფის ფინანსურ ინსტრუმენტებს აფასებს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ ადგილი აქვს აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგებას:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე;
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

ჯგუფი ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, რომლებშიც მაქსიმალურად გამოიყენება საბაზრო მონაცემები და მინიმალურად - არასაბაზრო მონაცემები.

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ან ფინანსურ ანგარიშგებებში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება ნაწილდება ქვემოთ წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით, რაც ეყრდნობა იმ ყველაზე დაბალი დონის ამოსავალ მონაცემს, რომელიც მნიშვნელოვანია მთლიანად სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების განსაზღვრის მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების განსაზღვრის მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ჯგუფი განსაზღვრავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნების მიზნებისთვის, ჯგუფიმ აქტივების და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის, თვისებებისა და რისკების ან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(ნ) საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალის რაოდენობა განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ჯგუფის წესდებაში ცვლილებები შესაძლებელია მხოლოდ ჯგუფის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. ჯგუფის მიერ საწესდებო კაპიტალი აღიარდება იმის გათვალისწინებით, რომ ის ჯგუფში მფლობელებმა შეიტანეს.

(ო) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფის აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ასევე შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება. თუ ჯგუფი მოელის ანარიცხების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალში აისახება ყოველგვარი ანაზღაურების გამოკლებით.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მნიშვნელოვანია, ანარიცხების დისკონტირება ხდება მიმდინარე დაბეგვრამდელი განაკვეთით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ასახავს ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გამოყენების შემთხვევაში, ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია ფინანსური ხარჯების ნაწილში.

(პ) იჯარა

განსაზღვრება იმისა, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას

ხელშეკრულების გაფორმებისას ჯგუფი აფასებს ხელშეკრულება წარმოადგენს ან მოიცავს თუ არა იჯარას. ეს იმას ნიშნავს, გადასცემს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივების სარგებლობის კონტროლის უფლებას დროის კონკრეტულ მომენტში, ანაზღაურების სანაცვლოდ.

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ჯგუფის იჯარები შედგება მხოლოდ მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისგან.

მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები

ჯგუფი იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისგან გათავისუფლებას შენობების, საოფისე ტექნიკის და ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოკლევადიან იჯარებზე (ე.ი. იჯარებზე, რომლებსაც აქვთ დაწყების თარიღიდან 12- ან ნაკლებთვიანი საიჯარო ვადა და არ მოიცავენ შესყიდვის უფლებას). ის ასევე ეხება დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარის აღიარებისგან გათავისუფლებას, საოფისე აღჭურვილობის იჯარებზე, რომლებიც დაბალფასიანად მოიაზრებიან. საიჯარო გადასახდელები მოკლევადიან იჯარებზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე აღიარდება ხარჯის სახით საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. ჯგუფში თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზრის პირობების ან გარიგებების ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება ჯგუფის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

სავაჭრო დებიტორული დავალიანებების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი

სავაჭრო დებიტორული დავალიანებებსა და სახელშეკრულებო აქტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებისთვის ჯგუფი ორ მეთოდს იყენებს - ინდივიდუალურ შეფასებას და კოლექტიური შეფასების მეთოდს. ინდივიდუალური მეთოდი გამოიყენება მხოლოდ მნიშვნელოვან კონტრაგენტებთან. კოლექტიურ მეთოდში ჯგუფი იყენებს ანარიცხის მატრიცას სავაჭრო დებიტორული დავალიანებების და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დასაანგარიშებლად. დარეზერვების დონე ეფუძნება ვადაგადაცდილებული დღეების რაოდენობას ზარალის მსგავსი მახასიათებლების მქონე სხვადასხვა სამომხმარებლო სეგმენტების დაჯგუფების საფუძველზე. ანარიცხების მატრიცა თავდაპირველად ეფუძნება ჯგუფის განვლილ ხილულ გადაუხდელობის განაკვეთს. ჯგუფი მოახდენს მატრიცის დაკალიბრებას საკრედიტო ზარალის გამოცდილების საპროგნოზო ინფორმაციაზე მორგების მიზნით. თითოეულ ანგარიშგების თარიღში, ახლდება წარსულში დაფიქსირებული გადაუხდელობის განაკვეთები და ანალიზდება ცვლილებები მომავალზე ორიენტირებულ შეფასებებში.

ჯგუფის საკრედიტო ზარალის განვლილი გამოცდილება და საპროგნოზო ეკონომიკური პირობები შესაძლოა ასევე არ იყოს მომავალში კლიენტის ფაქტიური დეფოლტირების განმსაზღვრელი. ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ ჯგუფის სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებსა და სახელშეკრულებო აქტივებთან დაკავშირებით, მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფი გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს და ნარჩენ ღირებულებებს ანგარიშგების ყოველი წლის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულებების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის ხარჯის ცვლილება.

4. ახალი და გადახდილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული პერიოდისთვის

შემდეგი ახალი ან შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები ძალაში 2023 წლის 1 იანვარს შევიდა, მაგრამ მათ მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ▶ ფასს 17- სადაზღვევო კონტრაქტები
- ▶ ბასს 8 -ს ცვლილება - სააღრიცხვო დაშვებების განმარტება
- ▶ ბასს 1 -ცვლილება - სააღრიცხვო პოლიტიკების განმარტება
- ▶ ბასს 12-ს ცვლილება - გადავადებული გადასახადი, რომელიც უკავშირდება ერთი ოპერაციიდან წარმოქმნილ აქტივებსა და ვალდებულებებს, საერთაშორისო გადასახადების რეფორმა - პილარ 2 მოდელის მიხედვით

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და ჯერ არ მიუღია კომპანიას

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ფინანსური ანგარიშგებების გამოშვების თარიღისთვის ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღებას შეძლებისდაგვარად აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე. მოსალოდნელი არ არის, რომ ამ ცვლილებებს მნიშვნელოვანი გავლენა ექნებათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ▶ ფასს 16-ის ცვლილება - საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას;
- ▶ ცვლილებები ბასს 1-ში: *ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიანად; გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით*
- ▶ მომწოდებლის ფინანსური შეთანხმებები - ცვლილებები ბასს 7-ში და ფასს 7-ში.
- ▶ ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები: აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში

შპს „ლიბო გრუპ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(რიცხვები ლარშია მოცემული)

5. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა- დანადგარე ბი	სატრანსპორ- ტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილ ობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
თვითღირებულება	6,819,713	3,484,435	217,793	218,446	978,115	404,308	418,562	12,541,372
დაგროვილი ცვეთა	–	(308,522)	–	(94,741)	(737,246)	(219,692)	(226,242)	(1,586,442)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 1 იანვარს	6,819,713	3,175,913	217,793	123,705	240,869	184,617	192,320	10,954,931
შესყიდვები	46,688	148,595	–	–	134,852	4,942	387	335,464
გასვლა	(1,193,292)	(15,208)	–	–	(103,924)	–	–	(1,312,424)
გადატანები	–	217,793	(217,793)	–	–	–	–	–
ცვეთის ხარჯი	–	(165,394)	–	(115,149)	(102,991)	(50,576)	(14,176)	(448,286)
გაყიდვებზე დაგროვილი ცვეთა	–	2,234	–	–	102,156	–	–	104,390
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	5,673,109	3,363,933	–	8,556	270,961	138,983	178,532	9,634,074
თვითღირებულება	5,673,109	3,835,615	–	218,446	1,009,042	409,251	418,949	11,564,412
დაგროვილი ცვეთა	–	(471,682)	–	(209,890)	(738,081)	(270,268)	(240,417)	(1,930,338)
საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	5,673,109	3,363,933	–	8,556	270,961	138,983	178,532	9,634,074
შესყიდვები	–	523,806	–	115,083	137,817	25,156	82,388	884,250
გასვლები	–	–	–	–	(51,112)	(404)	–	(51,516)
გადატანები	–	–	–	–	–	–	–	–
ცვეთის ხარჯი	–	(205,721)	–	(11,417)	(157,334)	(51,248)	(23,565)	(449,285)
გაყიდვებზე დაგროვილი ცვეთა	–	–	–	–	14,042	–	–	14,042
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	5,673,109	3,682,018	–	103,666	214,375	112,487	245,909	10,031,564
თვითღირებულება	5,673,109	4,359,421	–	284,597	1,095,748	434,003	484,185	12,331,063
დაგროვილი ცვეთა	–	(677,403)	–	(180,931)	(881,373)	(321,516)	(238,276)	(2,299,499)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	5,673,109	3,682,018	–	103,666	214,375	112,487	245,909	10,031,564

შპს „ლიბო გრუპ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(რიცხვები ლარშია მოცემული)

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
გადასაყიდად გამიზნული საქონელი (თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი)	7,115,908	4,505,266
საწვავი	–	–
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7,115,908	4,505,266

7. სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	14,136,137	11,095,606
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(727,792)	(523,216)
სულ სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	13,408,345	10,572,390

2023 წლის განმავლობაში ჯგუფის საექვო მოთხოვნების აღდგენა იყო 204,576 ლარი (2022: 59,989 ლარი ხარჯი).

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	113,995	166,002
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	4,072	177,853
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	–	14
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	118,067	343,869

9. ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრების მოძრაობა 2023-2022 წლების მანძილზე ასე გამოიყურებოდა:

	2023	2022
1 იანვარს	2,374,044	9,858,133
პროცენტის გადახდა	(195,594)	(285,481)
პროცენტის ხარჯი	195,594	268,657
სესხის დაფარვა	(8,005,450)	(17,790,877)
სესხის მიღება	9,074,453	13,529,928
კურსთაშორისი სხვაობის (შემოსავალი)/ხარჯი	64,467	(954,464)
31 დეკემბერს	3,507,514	2,374,044

შპს „ლიბო გრუპ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(რიცხვები ლარშია მოცემული)

10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო კრედიტორული ვალდებულებები	5,104,655	3,989,059
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები	5,104,655	3,989,059

11. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2023	2022
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	59,160,007	45,931,379
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	(1,583,957)	(778,322)
სულ შემოსავალი	57,576,050	45,153,057

12. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2023	2022
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	37,781,941	30,688,259
საქონლის დაბრუნება	(728,853)	(662,545)
სულ გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	37,053,088	30,025,714

13. რეალიზაციის ხარჯები

	2023	2022
მარკეტინგის ხარჯები	3,755,269	3,730,672
ხელფასის ხარჯი	3,989,030	2,321,681
საწვავის ხარჯი	461,307	626,353
სხვა რეალიზაციის ხარჯები	107,622	67,743
სულ რეალიზაციის ხარჯები	8,313,228	6,746,449

შპს „ლიბო გრუპ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(რიცხვები ლარშია მოცემული)

14. ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
გადასახდელი ხელფასი	1,924,429	2,304,684
საგადასახადო ხარჯი	690,032	7,697
ცვეთა და ამორტიზაცია	460,967	459,970
იჯარის ხარჯი	380,034	96,709
შეკეთების ხარჯი	362,528	138,133
საბანკო ხარჯები	246,454	200,468
კონსულტაციის ხარჯები	165,268	135,333
კომუნალური ხარჯი	102,121	105,585
წარმომადგენლობითი ხარჯი	41,543	71,603
კომუნიკაციის ხარჯი	28,684	33,338
საკანცელარიო ხარჯი	18,116	20,495
დაცვის მომსახურების ხარჯი	7,469	7,114
სხვა ხარჯები	893,777	791,707
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	5,321,422	4,372,836

15. მოგება-ზარალი საკურსო სხვაობიდან

2023 წლის საკურსო სხვაობა	შემოსავალი	ხარჯი	ნეტო
ფული და ფულის ეკვივალენტები	713.564	748.280	(34.716)
სავაჭრო მოთხოვნები	195.120	141.549	53.570
სავაჭრო ვალდებულებები	328.926	541.396	(212.470)
სესხები	510.330	574.797	(64.467)
სულ წლის საკურსო სხვაობა	1.747.940	2.006.022	(258.083)
2022 წლის საკურსო სხვაობა	შემოსავალი	ხარჯი	ნეტო
ფული და ფულის ეკვივალენტები	658,218	697,662	(39,444)
სავაჭრო მოთხოვნები	58,693	113,355	(54,662)
სავაჭრო ვალდებულებები	907,722	325,418	582,304
სესხები	1,785,506	831,042	954,464
სულ წლის საკურსო სხვაობა	3,410,140	1,967,477	1,442,662

16. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება ნასესხები სახსრებისგან და სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია დაფინანსების მოზიდვა ჯგუფის საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობისთვის. ჯგუფის აქვს უშუალოდ თავისი საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

ჯგუფის აქვს საკრედიტო, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაგენტი ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ჯგუფის ფინანსური ზარალი მიადგება. ჯგუფის საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობის (ძირითადად სავაჭრო დებიტორული დავალიანებები) და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებში განთავსებული ანაზღაურებებიდან გამომდინარე.

ჯგუფის მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე აქტივების კლასების მიხედვით აისახება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები (მე-7 შენიშვნა)	13,408,345	10,572,390
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები (მე-8 შენიშვნა)	118,067	343,869
სულ საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა	13,526,412	10,916,259

სავაჭრო დებიტორული დავალიანებები

კლიენტის საკრედიტო რეიტინგი ფასდება საფუძვლიანი ანალიზით და ამ შეფასების საფუძველზე განისაზღვრება ინდივიდუალური საკრედიტო ლიმიტები.

დებიტორული დავალიანებების გაუფასურების ანალიზი ინდივიდუალურად ტარდება მსხვილი დებიტორული დავალიანებებისთვის და ასევე კოლექტიურად - უფრო მცირე დებიტორული დავალიანებებისთვის. მომხმარებლების დაუფარავი დებიტორული დავალიანებები და სახელშეკრულებო აქტივები რეგულარული და შემდგომი პროცედურების საგანს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ხელმძღვანელობა შესაბამისად მიიჩნევს ვადიანობის შესახებ და საკრედიტო რისკთან დაკავშირებული სხვა განმარტებითი ინფორმაციის მე-7 შენიშვნაში წარმოდგენას.

16. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

საკრედიტო ინსტიტუტებში ფლობილი თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაზრები), ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს. ჯგუფის შეფასებით საკრედიტო დაწესებულებებში ფლობილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უმნიშვნელოა.

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილის საქართველოს წამყვან ბანკებში განთავსებით. ჯგუფის ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, რომლებშიც ანაზრები აქვს განთავსებული, ასევე ყოველდღიურად კონტროლდება ძირითადი კლიენტებისა და შესაბამისი დებიტორული დავალიანებების სტატუსიც.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკები წარმოიშობა უცხოური ვალუტების ღია პოზიციების გამო, რომლებიც დამოკიდებულია ბაზრის ზოგად და კონკრეტულ ცვლილებებზე. ხელმძღვანელობა აწესებს ლიმიტებს რისკის დასაშვებ მოცულობაზე, რისი მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ასეთი მიდგომა ვერ უზრუნველყოფს დანაკარგების აღმოფხვრას დაწესებული ლიმიტის ზევით ბაზარზე მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

მგრძნობელობა საბაზრო რისკების მიმართ, რომლებიც ქვემოთ არის განსაზღვრული, ეფუძნება კოეფიციენტის ცვლილებას, ყველა სხვა კოეფიციენტის მუდმივ დონეზე შენარჩუნებით. პრაქტიკაში ეს სავარაუდო არ არის და რამდენიმე კოეფიციენტის ცვლილება შესაძლოა უკავშირდებოდეს ერთმანეთს, მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ან უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებებს.

16. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

ჯგუფი სავალუტო რისკს გასწევს იქიდან გამომდინარე, რომ არსებობს სხვაობა ყიდვა-გაყიდვის და ნასესხები სახსრების ვალუტებს და ჯგუფის სამუშაო ვალუტებს შორის. ჯგუფის სამუშაო ვალუტა უპირატესად ქართული ლარია („ლ“). ვალუტა, რომელშიც ეს ოპერაციები უპირატესად არის გამოხატული არის აშშ დოლარი, ევრო.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის დაქვემდებარება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რისკზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს:

	2023 წლის 31 დეკემბერი			2022 წლის 31 დეკემბერი		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებუ- ლებები	ნეტო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებუ- ლებები	ნეტო პოზიცია
აშშ დოლარი	455,710	(1,757,383)	(1,301,673)	139,855	(1,211,522)	(1,071,667)
ევრო	1,556,044	(6,304,647)	(4,748,603)	741,333	(4,637,520)	(3,896,186)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოგება-ზარალის და კაპიტალის მგრძნობელობა, სავალუტო კურსის გონივრულ ფარგლებში შესაძლო ცვლილებების მიმართ, ჯგუფის საბრუნავ ვალუტასთან მიმართებაში, იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფი ყველა სხვა ცვლადს მუდმივ პოზიციაში შეინარჩუნებს:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
	გავლენა მოგება-ზარალზე	გავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 10%-იანი გამყარება	(130,167)	(107,167)
აშშ დოლარის 10%-იანი გაუფასურება	130,167	107,167
ევროს 10%-იანი გამყარება	(474,860)	(389,619)
ევროს 10%-იანი გაუფასურება	474,860	389,619

16. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)**ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფის გაუქმდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა ფინანსური აქტივით. ლიკვიდურობის მართვის მიმართ ჯგუფის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და ჯგუფის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

ჯგუფი უზრუნველყოფს, რომ მოთხოვნისთანავე მუდმივად იქონიონ საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების მომსახურებისთვის საჭირო ფულადი სახსრები სამი თვის განმავლობაში. ეს გამოიწვევს ექსტრემალური ვითარებების პოტენციურ გავლენას, რომლის წინასწარ განსაზღვრაც შეუძლებელია; ამგვარი ვითარებები მოიცავს ბუნებრივ კატასტროფებს.

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით. როდესაც კრედიტორული ვალდებულებების თანხა არ არის ფიქსირებული, ასახული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული პირობების გათვალისწინებით. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

ქვემოთ მოცემულია დაუფარავი ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადები 2023 წლის 31 დეკემბრისთვის:

	<1 წელი	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ნასესხები სახსრები	3,507,514	–	–	3,507,514
სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები	5,104,655	–	–	5,104,655
სულ მომავალი გადახდები	8,612,169	–	–	8,612,169

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	<1 წელი	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ნასესხები სახსრები	2,374,044	–	–	2,374,044
სავაჭრო და სხვა კრედიტორული ვალდებულებები	3,970,259	–	–	3,970,259
სულ მომავალი გადახდები	6,344,303	–	–	6,344,303

კაპიტალის მართვა

ჯგუფი არ ერცელდება კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნები. ჯგუფის არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის საკმარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დააკმაყოფილოს ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები.

17. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

მიიჩნევა, რომ იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (თორმეტ თვეზე ნაკლები), და ფინანსური ვალდებულებებისთვის ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით, უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც ცნობილია, სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მე-3 დონით ფასდება, გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა, რომლებიც 1-ლი დონით არის შეფასებული.

18. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, ზოგადად, ითვლება დაკავშირებულად, თუ მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

	მესაკუთრეები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	–	–	2,337,817
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	–	–	(102,115)

2022 წლის 31 დეკემბერს, დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები იყო შემდეგი:

	მესაკუთრეები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები	–	–	667,789
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	–	–	(9,516)

შპს „ლიბო გრუპ“**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები***(რიცხვები ლარშია მოცემული)***18. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)**

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი გარიგებები დაფიქსირდა:

	მესაკუთრეები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
საქონლის რეალიზაცია	–	–	5,630,242
საქონლის შეძენა გასაყიდად	–	–	–
ტრანსპორტირების მომსახურება	–	–	1,460,337
გაცემული დივიდენდი	1,922,442	–	–
გაცემული ხელფასები	–	–	57,000

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი გარიგებები დაფიქსირდა:

	მესაკუთრეები	უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	სხვა დაკავშირებული მხარეები
საქონლის რეალიზაცია	–	–	2,511,581
საქონლის შეძენა გასაყიდად	–	–	108,062
ტრანსპორტირების მომსახურება	–	–	679,398
გაცემული დივიდენდი	1,922,442	–	–
გაცემული ხელფასები	–	563,450	–

19. ანგარიშგების წარდგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ჯგუფმა 2024 წლის მანძილზე პარტნიორებზე გასცა 2,575,789 ლარის დივიდენდი.

შეცვალათ კიდეც დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტორის ანგარიშის მომზადების თარიღისათვის მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, მას შემდეგ, მომავალში დამდგარმა მოვლენებმა თუ გარემოებებმა შეიძლება ჯგუფი აიძულოს, შეწყვიტოს მოქმედი საწარმოს პრინციპით მოქმედება.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარმოდგენის ფორმას, სტრუქტურასა და შინაარსს განმარტებების ჩათვლით და იმას, თუ რამდენად ობიექტურად წარმოადგენს ანგარიშგება ძირითად მოვლენებსა და ტრანზაქციებს.

სხვა საკითხებს შორის, ჩვენ ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ შინაარსსა და განრიგს, ასევე აუდიტის შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს, მათ შორის, შიდა კონტროლში აუდიტის დროს აღმოჩენილ მნიშვნელოვან ხარვეზებს.

დასკვნა სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების თაობაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების („კანონი“) შესაბამისად მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.

ჩვენ ჩავატარეთ პროცედურები იმის შესამოწმებლად, არის თუ არა მმართველობის ანგარიში მომზადებული კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს თუ არა იგი კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

პროცედურები შევასრულეთ და ჩავატარეთ საკუთარი შეფასებების საფუძველზე მათ შორის, გამოკითხვების, დოკუმენტაციის ანალიზისა და შემოწმების, კანონის მოთხოვნებთან ჯგუფის პოლიტიკების, პროცედურების, მეთოდოლოგიებისა და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებით, აგრეთვე რაოდენობრივი მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის გადათვლის, შედარებისა და შეჯამების საფუძველზე.

ჩვენი აზრით:

- 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშში შესულია ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია;
- მმართველობის ანგარიშში შესული ინფორმაცია ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს „ალგი აუდიტის“ სახელით

კახაბერ თეთრუაშვილი

2024 წლის 1 ოქტომბერი

თბილისი, საქართველო



შპს „ლიბო გრუპ“
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
(რიცხვები ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	4,345,471	3,960,965
საინვესტიციო ქონება		404,045	404,045
გუდვილი		—	—
მიწა	5	5,686,093	5,673,109
არამატერიალური აქტივები		88,059	99,741
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,523,668	10,137,860
მიმდინარე აქტივები			
საგადასახადო აქტივი		—	—
გადახდილი ავანსები		—	429,957
მარაგები	6	7,115,908	4,505,266
გაცემული სესხები		60,000	—
სავაჭრო მოთხოვნები	7	13,408,345	10,572,390
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		—	12,807
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	118,067	343,869
სულ მიმდინარე აქტივები		20,702,320	15,864,289
სულ აქტივები		31,225,988	26,002,149
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		554,957	554,957
გაუნაწილებელი მოგება		21,205,509	18,709,609
სულ კაპიტალი		21,760,466	19,264,566
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	9	—	—
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		—	—
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხის მიმდინარე ნაწილი	9	3,507,514	2,374,044
სავაჭრო ვალდებულებები	10	5,104,655	3,989,059
გადასახდელი ხელფასები		—	—
მიღებული ავანსები		—	—
საგადასახადო ვალდებულება		692,631	85,069
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		160,722	289,411
სულ მიმდინარე ვალდებულებები		9,465,522	6,737,583
სულ ვალდებულებები		9,465,522	6,737,583
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		31,225,988	26,002,149

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2024 წლის 1 ოქტომბერს

მარიამ დუდუჩავა
 დირექტორი



9-35 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ლიბო გრუპ“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
(რიცხვები ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	11	57,576,050	45,153,057
გაყიდული მარაგების თვითღირებულება	12	(37,053,088)	(30,025,714)
საერთო მოგება		20,522,962	15,127,343
რეალიზაციის ხარჯები	13	(8,313,228)	(6,746,449)
ადმინისტრაციის ხარჯები	14	(5,321,422)	(4,372,836)
საოპერაციო ხარჯები		(109,544)	(197,811)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		6,778,768	3,810,247
არასაოპერაციო შემოსავალი		401,610	395,940
საპროცენტო ხარჯი		(195,594)	(268,657)
მოგება-ზარალი საკუთროს სხვაობიდან	15	(258,083)	1,442,662
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(204,625)	(250)
დივიდენდი		—	—
ძირითადი საშუალების რეალიზაცია		—	3,976,059
მოგება დაზღვევამდე		6,522,076	9,356,001
მოგების გადასახადის ხარჯი		(628,632)	(38,303)
წლის მოგება		5,893,444	9,317,698
სხვა სრული შემოსავალი		—	—
მთლიანი სრული შემოსავალი		5,893,444	9,317,698

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2024 წლის 1 ოქტომბერს

მარიამ დუდუჩავა
დირექტორი



9-35 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ლიბო-გრუპ“

კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება
(რიცხვები ლარშია მოცემული)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	589,849	11,314,353	11,904,202
წლის მოგება	–	9,317,698	9,317,698
დივიდენდის გაცემა	–	(1,922,442)	(1,922,442)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	313,661	–	313,661
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(348,553)	–	(348,553)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	554,957	18,709,609	19,264,566
წლის მოგება	–	5,893,444	5,893,444
დივიდენდის გაცემა	–	(3,397,544)	(3,397,544)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	554,957	21,205,509	21,760,466

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2024 წლის 1 ოქტომბერს

მარიამ დუდუჩავა
დირექტორი



შპს „ლიბო გრუპ“
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
(რიცხვები ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		6,522,076	9,356,001
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	14	460,967	459,970
უიმედო მოთხოვნის ხარჯი (აღდგენა)		204,576	(59,989)
მირითადი საშუალების გაყიდვით მიღებული მოგება		—	(3,976,059)
საპროცენტო ხარჯი	9	195,594	268,657
კურსთაშორის სხვაობის ხარჯი		258,083	(1,442,662)
გუდივილის გაუფასურების ხარჯი		—	—
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		7,641,296	4,605,918
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ცვლილება		(2,986,961)	(3,114,348)
გაცემული ავანსების ცვლილება		429,957	(429,957)
სასაქონლო მატერიალური მარაგების ცვლილება		(2,610,642)	616,635
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ცვლილება		903,126	263,234
ცვლილება საგადასახადო აქტივებში და ვალდებულებებში		(21,070)	(174,358)
მიღებული ავანსების ცვლილება		—	—
გადახდილი პროცენტი		(195,594)	(285,481)
ცვლილებები სხვა მოკლევადიან მოთხოვნებში		12,807	38,597
ცვლილებები გადასახდელ ხელფასებში		—	(81,175)
ცვლილება სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში		(128,689)	240,743
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		3,044,230	1,679,808
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მირითადი საშუალებების ყიდვა/ გაყიდვით მიღებული და გადახდილი თანხები		(846,775)	4,848,630
სესხის გაცემა		(60,000)	—
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		(906,775)	4,848,630
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხის მიღება/გადახდა	9	1,069,003	(4,260,949)
განაწილებული დივიდენდი		(3,397,544)	(1,922,442)
საწესდებო კაპიტალის ზრდა / (შემცირება)		—	(34,892)
ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(2,328,541)	(6,218,283)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(34,716)	(39,446)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		(225,802)	270,709
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	8	343,869	73,160
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	8	118,067	343,869

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2024 წლის 1 ოქტომბერს

მარიამ დუდუჩავა
 დირექტორი



LIBOgroup

ზოგადი მიმოხილვა

შესავალი

შპს ლიბო გრუპ-ი, დაფუძნებული 2007 წელს, წარმოადგენს FMCG ინდუსტრიის ერთ-ერთ ლიდერ გაყიდვებისა და დისტრიბუციის კომპანიას საქართველოში. კომპანია ემსახურება 8000-ზე მეტ ობიექტს სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე და ახდენს რეექსპორტს სომხეთში.

კომპანია საქართველოს ბაზარზე ოპერირებს 17 წლის მანძილზე. FMCG პროფილის პროდუქციის მარკეტინგი, გაყიდვები და შემდგომი დისტრიბუცია. ლიბო გრუპი ასევე ფლობს შვილობილ კომპანიას და არაპროფილურ აქტივებს.

შპს ლიბო გრუპ-ი თანამშრომლობს 15 მსხვილ მომწოდებელთან:

- ბელგიური საერთაშორისო კომპანია Ontex Global
- სამხრეთ-კორეული კომპანია Dorco Co LTD
- უკრაინული კომპანია FACTORY SOAP TRADITIONS LTD
- უკრაინული კომპანია Ergopack
- უკრაინული კომპანია VGP LTD
- თურქული კომპანია HOBİ KOZMETİK İMALAT SAN VE
- თურქული კომპანია SMİLE DİS TİCARET ANONİM ŞİRKETİ
- ბერძნული კომპანია Sarantis
- უკრაინული კომპანია LLC UKRAINIAN CHEMICAL TECHNOLOGI
- ირანული კომპანია Pakshoo
- სომხური კომპანია Biocotton
- იტალიური კომპანია Ciccarelli S.p.A
- თურქული კომპანია Kozan Kozmetik Pazarlama Ve Tic. A.Ş
- თურქული კომპანია ADEN TEMİZLİK ÜRÜNLERİ TİC LTD ŞTİ
- თურქული კომპანია Lila Kagit Can Tic A.Ş

კომპანიის მთავარი სადისტრიბუციო ბრენდებია:

- OntexGlobal - ქანბებე, ქანპედი
- Ergopack - ფინო, ერგოპაკ ნოვაქსი
- Pakshoo - ავე
- Sarantis - კაროტენე, STR8
- Ciccarelli S.p.A - Pasta del capitano (PDC)
- Smile LTD - ვოი
- Biocotton - ბიოკოტონი
- Kozan Kozmetik P ve tic as- Flormar
- Dorco Co LTD - საპარსი საშუალებები ბრენდი Dorco
- Lila Kagit Can Tic A.Ş - NUA
- VGP LTD - RUTA

ბიზნეს სტრატეგიის ანალიზი

ინდუსტრიების ანალიზი

შპს ლიბო გრუპ მოდვაწეობს გაყიდვების, მარკეტინგისა და სადისტრიბუციო ინდუსტრიაში და მისი სარეალიზაციო არხები აერთიანებს რამდენიმე მსხვილ ტიპს.

კომპანიის გასაღების ერთ ერთი არხია საცალო შემსყიდველები, რომელიც მოიცავს როგორც კომპანიის მიერ დანერგილ ინოვაციურ ონლაინ შესყიდვების პროგრამას, ასევე მცირე და საშუალო მეწარმეებს.

კომპანიის გასაღების მნიშვნელოვან არეალს წარმოადგენენ კორპორატიული კლიენტები, როგორებიცაა ფარმაცევტული კომპანიები და მსხვილი სუპერმარკეტების ქსელები.

დღემდე კომპანიის გასაღების ერთ-ერთი მთავარი არხია საბითუმო ბაზრები მთელი საქართველოს მასშტაბით.

ასევე კომპანია ახდენს პროდუქციის რეექსპორტს სომხეთის მიმართულებით, სადაც ხდება პარტნიორების მიერ პროდუქციის საცალო მოვაჭრეებამდე მიტანა.

კომპანია ასევე ფლობს არაპროფილურ აქტივებს, რომელიც ძირითადად უძრავ ქონებებს მოიცავს.

საცალო ინდუსტრიის ანალიზი

საცალო გაყიდვების არხის შემდეგ ტიპს წარმოადგენენ ისეთი წვრილი შემსყიდველები, როგორებიცაა ფიზ.პირები, ინდ.მეწარმეები და მცირე და საშუალო ბიზნესის მფლობელები. კომპანია საცალო გაყიდვებს აწარმოებს შემდეგი შუამავალი პლატფორმების მეშვეობით - შპს სატურნი (Veli Store), შპს ბლაში (Blush.ge).

უნდა აღინიშნოს, რომ საცალო ინდუსტრია გაყიდვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელია და ის მთლიანი გაყიდვების 5%-ს შეადგენს. ონლაინ გაყიდვები ინოვაციური პროდუქტია, რომელიც მაღალი ზრდის ტემპებით ხასიათდება, სხვა მცირე შემსყიდველები კი შედარებით ნაკლებად მზარდ ბაზარს წარმოადგენს.

საბითუმო შემსყიდველები

კორპორაციული კლიენტები - ეს სეგმენტი ფირმის გაყიდვების დაახლოებით 80% შეადგენს.

სეგმენტში გამოიყოფა 2 ჯგუფი, საბითუმო შემსყიდველი კორპორაციები - პსპ, ავერსი, კარფური გეფა, სუფთა სახლი, სამშობიაროები და საავადმყოფოები, სახელმწიფო შესყიდვები და ა.შ. - რომლებიც გაყიდვების 45% შეადგენს. მოცემული ჯგუფი მზარდი გაყიდვების ტემპით ხასიათდება, რაც კომპანიის სტაბილურობას ხელს უწყობს და აძლევს საშუალებას მოახდინოს დიფერენცირება, შედარებით მცირე საფასო კონკურენციის პირობებში, ვიდრე ეს ბაზრებშია.

მეორე ჯგუფია - საბითუმოდ მოვაჭრე ბაზრები, რომლებიც კლებადი ტენდენციით ხასიათდება, ბაზრების შემთხვევაში კომპანიას უხდება სხვადასხვა პროდუქციის მიმართლებით აქტიური საფასო კონკურენცია შედარებით დაბალხარისხიან პროდუქციასთან.

საბითუმო შემსყიდველების ინდუსტრიის სტრუქტურის ცვლილება და სიმძიმის ცენტრის გადანაცვლება კორპორაციული კლიენტებისა და სახელმწიფო შესყიდვებისთვის, კომპანიას სძენს მეტ სტაბილურობას, აძლევს დიფერენციაციისა და მზარდი ეკონომიკური მოგების მიღების შესაძლებლობას.

ექსპორტი სომხეთში

სომხეთის ბაზარი გამოირჩევა ნაკლები სტაბილურობით, მოცემული ბაზარი ფასის მიმართ სენსიტიურია, ლიბო გრუპი გეგმავს ინდივიდუალური საფასო პოლიტიკით მოცემული ბაზრის გასაღების არხების მეტ დატვირთვასა და ყოველწლიურ 10%- იან ზრდას.

საბოლოო ჯამში კომპანიის გაყიდვებს მზარდი ხასიათი აქვს, მასზე მოქმედი ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამოსაყოფია ვალუტის კურსის არასტაბილურობა, რაც დადებული კონტრაქტების პირობებში კომპანიის მომგებიანობაში მცირე რყევებს იწვევს და მსყიდველობითუნარიანობის შემცირება, რაც არაპირველადი პროდუქციის გაყიდვებს ეხება.

კომპანიის ძირითადი პროდუქციაა ონტეჟის პროდუქციის ქვეშ გაერთიანებული ბრენდი ქანბე, რომელსაც ბავშვის საფენების ბაზრის 25% უკავია.

2022 წლიდან მკს ლიბო გრუპ-მა დაიწყო თანამშრომლობა თურქულ კომპანია - Lila Kagit Can Tic A.S-თან, რომლისგანაც ხდება ბრენდ NUA-ს ტუალეტის ქაღალდების იმპორტი და რეექსპორტი სომხეთში. სომხურ ბაზარზე აღნიშნულმა ბრენდმა თავიდანვე მომხმარებელთა მაღალი ინტერესი დაიმსახურა, რაც თავის მხრივ, საბოლოოდ ლიბო გრუპ-ის გაყიდვების პირდაპირ პროპორციულ ზრდასთანაა დაკავშირებული.

ბრენჩები

კომპანია ფლობს საწყობებს ბათუმში, ქუთაისში, თბილისსა და კახეთში, რითაც ხდება საქართველოს ტერიტორიის მოცვა.

მკს ლიბო გრუპი აერთიანებს 200-ზე მეტ თანამშრომელს, რომლიდანაც 60 პირდაპირი მიმწოდებელია, 27 ობიექტების პრომოუშენს ახდენს, 50 გაყიდვების აგენტი, დანარჩენი კი ადმინისტრაციაშია დასაქმებული.

კორპორატიული კლიენტები

ლიბო გრუპის ერთ-ერთი შედარებითი უპირატესობაა მასშტაბის ეკონომიურობა. ბაზარზე ახალ შემოსვლელს უწევს ძალიან დიდი მარკეტინგული დანახარჯების გაღება რათა მომგებიან გასაღების არხებს დაეუფლოს, ასევე გასათვალისწინებელია ის ინფორმაციული ბაზა, რომელიც მოსმახურებას უფრო ეფექტურს ხდის და ახალ მოთამაშეებს არ გააჩნიათ.

ინდუსტრიაში მნიშვნელოვანია პირველი მოთამაშის უპირატესობა. პირველ რიგში, ინდუსტრიაში უკვე დამკვიდრებულია მომსახურებისა და პაკეტების სტანდარტი. მომხმარებელი მიჩვეულნი არიან მას.

კონკურენტული სტრატეგიის ანალიზი

ლიბო გრუპის მიერ შემოთავაზებულ პროდუქციის ტიპებში განსხვავებული კონკურენტული გარემოა. პორტფელში არსებული პროდუქტების ნაწილი ფასებით კონკურენციაშია, ნაწილი კი დიფერენციაციის სტრატეგიას მიმართავს.

საბავშვო საფენების სეგმენტი ფასისმიერი ლიდერობის მაგალითია. მნიშვნელოვანი ეფექტიანი მიწოდების გზები, გამარტივებული პროდუქტების შეთავაზება. კომპანიას აქვს მიწოდების საკმაოდ ეფექტიანი და დაბალ დანახარჯიანი გზები ონლაინ გაყიდვების შემთხვევაში. ზოგადად საბავშვო საფენებისა და ჰიგიენის პროდუქციის ბაზარი ნაკლებად ხდება კონცენტრირებული მსხვილი კორპორაციული შემსყიდველების წილის ზრდის ხარჯზე და ლიბო გრუპის ფასისა და ხარისხის ერთობლიობა მისი წილის შენარჩუნებისა და გაზრდის გარანტია.

სადისტრიბუციო ინდუსტრიაში ლიბო გრუპი გამოირჩევა კონკურენტუნარიანობით, რაც გამოწვეულია მის მიერ საკუთარი სადისტრიბუციო ქსელისა და სასაწყობე აქტივების ფლობით, გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვით, საუკეთესო მარაგების მართვის სისტემების ფლობით და წლების განმავლობაში დაგროვილი უნიკალური გამოცდილებით. შესაბამისად, ხდება არსებული ბრენდების შეთავაზებების მუდმივი გაფართოება, ხოლო უკვე არსებული მიმწოდებლები მუდმივად ცდილობენ გრძელვადიან თანამშრომლობას.

კომპანია აქტიურად ცდილობს ახალი მომწოდებლების საქართველოს ბაზრისთვის შეთავაზებას, რითაც აღწევს ორგანული ზრდის სტაბილურ ტემპებს.

არსებული კონკურენტული უპირატესობების ფონზე, ასევე დაგეგმილი სასაწყობე სისტემის რეფორმის პირობებში სავარაუდოა, რომ ლიბო გრუპი შეძლებს გრძელ ვადაში სადისტრიბუციო ინდუსტრიის ერთ-ერთ მთავარ ფიგურად დარჩენასა და საკუთარი წილის სტაბილურ ზრდას.

კორპორაციული ანალიზი

სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანია გეგმავს ერთი მხრივ ქსელებში საკუთარი წარმომადგენლობის მნიშვნელოვან ზრდას, მეორეს მხრივ კი ბაზრისთვის ახალი მომწოდებლების მოძიებას.

კომპანია გეგმავს საკუთარი შეთავაზებების გაზრდასა და არსებული ბრენდების საბაზრო წილის ზრდას. კორპორაციული შეყიდვების წილის ზრდის ხარჯზე და მსხვილ შემწყიდველებთან გაფორმებული კონტრაქტების მეშვეობით მოხდება საერთო გაყიდვების ტემპის ზრდა.

კორპორაციული სტრატეგიის განხილვისას მნიშვნელოვანია გავანალიზოთ თუ რამდენად ახერხებს კომპანია მერჯერებისა და შესყიდვების გზით დანახარჯების შემცირებას. სინერგიის ეფექტი მიიღწევა, როდესაც პორტფელში არსებული ორი ფირმა თანაარსებობს და საბაზრო პირობების ტრანზაქციაზე ნაკლებდანახარჯიანად იქმნება შედეგი. ამ შემთხვევაში შპს ლიბო გრუპის პორტფელი აერთიანებს კომპლემენტარულ ბრენდებს, რაც გაყიდვების სტაბილური ზრდის მნიშვნელოვან გარანტს იძლევა.

კორპორაციული სტრატეგიის შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ ლიბო გრუპი საკუთარ პორტფელში თანადაკავშირებული ბრენდების გაერთიანებით აღწევს სინერგიის ეფექტს და ასევე არ კარგავს ძირითად საქმიანობაზე ფოკუსს.

საცალო გაყიდვების შემთხვევაში ცხადია, რომ ფასისმიერი ლიდერობისა და დიფერენცირების მერეული სტრატეგია უზრუნველყოფს მომგებიანობას და ინდუსტრიის სპეციფიკიდან გამომდინარე ამ მომგებიანობის გრძელვადიანად გაგრძელება შესაძლებელია პირდაპირი გაყიდვების წილის გაზრდის შემთხვევაში, მიუხედავად მცირე და საშუალო შემსყიდველების წილის კლებისა.

საბითუმო მიმართულების ანალიზით ცხადი ხდება, რომ კომპანია მსხვილ ქსელებში შესვლით, საბითუმო შემსყიდველებთან კონტრაქტების დადების გზით, ფარავს შემცურებულ საბაზრო გაყიდვებს და საერთო ჯამში ინარჩუნებს მზარდ ტემპებს.

სოციალური პასუხისმგებლობა

სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში ლიბო გრუპი ახდენს მოწყვლადი ჯგუფების როგორც პერმანენტულ დამხმარებას, ასევე კონკრეტული კამპანიების ჩატარებას.

კომპანია ეხმარება მლეთვის სამონასტრო კომპლექსში არსებულ მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარს, კათარზისს.

ასევე, ლიბო გრუპისათვის მნიშვნელოვანია კომპანიის თანამშრომლებისათვის შექმნილი ეკოსისტემა, კომპანია საკუთარ თანამშრომლებს სთავაზობს საბაზროზე მაღალ ანაზღაურებას და არამატერიალურ ბენეფიტებს. შედეგად კომპანიას ჰყავს ლოიალურ თანამშრომელთა ბაზა და გააჩნია საკმაოდ დაბალი როტაციის მაჩვენებელი.

